განცხადება

სამშენებლო სამუშაოების წინასაკვალიფიკაციო შერჩევა

სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადა: 2021 წლის 1 ივნისის 12:00 საათი

პროექტის სახელწოდება:

მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში

სამეგრელო-ზემო სვანეთში ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა, ზუგდიდისა და ფოთის არსებული ნაგავსაყრელების დახურვა, 3 ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მშენებლობა

შესყიდვის ნომერი:

506739

დამსაქმებლის სახელწოდება და მისამართი:

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ა. პოლიტკოვსკაიას 14, 0186 თბილისი, საქართველო

საერთაშორისო ტენდერის სახელწოდება (ICB) და ნომერი:

სამეგრელო-ზემო სვანეთში ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა, ზუგდიდისა და ფოთის არსებული ნაგავსაყრელების დახურვა, გადამტვირთავი სადგურების მშენებლობა - ICB/W/SZS

წინადადების წარდგენის დეტალები:

წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტაციის მიღება წერილობითი ფორმით შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილ მისამართზე. წინადადება და ასევე კორესპონდენცია იწარმოება ინგლისურ ენაზე. ორიგინალთან ერთად, სატენდერო წინადადებას თან უნდა ერთვოდეს 2 დაბეჭდილი და 1 ელექტრონული ასლი. ორიგინალი, ისევე როგორც ყველა ასლი უნდა იქნეს წარდგენილი 2021 წლის 1 ივნისის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე, რომელიც იქნება მაკონტროლებელი მისამართი ყველა წინადადების დროულ წარდგენაზე:

შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია” (SWMCG)
საყურადღებოდ: თამარ ძიმისტარიშვილი
მისამართი: ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14
ქალაქი: თბილისი
საფოსტო ინდექსი: 0186
ქვეყანა: საქართველო
ელ. მისამართი: t.dzimistarishvili@hotmail.com

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2021 წლის 1 ივნისის 12:30 საათზე შემდეგ მისამართზე - ა. პოლიტკოვსკაიას 14, 0186 თბილისი, საქართველო.

წინასაკვალიფიკაციო პროცედურა იხელმძღვანელებს KfW-ს “პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების, სამუშაოების, ნაგებობის, საქონლისა და არა საკონსულტაციო მომსახურების სახელმძღვანელოს“ მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომია KfW-ს ბანკის ვებ-გვერდზე (2019 წლის იანვრის ვერსია):

Microsoft Word - Vergaberichtlinien 2019 Englisch Internet.docx (kfw-entwicklungsbank.de)

კონტრაქტი გაფორმდება ადგილობრივ ან საერთაშორისო კონტრაქტორ კომპანიასთან (უცხოური კომპანიის შემთხვევაში, სასურველია რომ მას ყავდეს ადგილობრივი პარტნიორი კომპანია), რომელსაც იქნება გამოცდილება შესაბამის სფეროში და ბოლო სამი წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვა შეადგენს მინიმუმ 9 მილიონ ევროს. დამატებითი ტექნიკური და ეკონომიკური მოთხოვნები წარმოდგენილია წინასაკვალიფიკაციო შერჩევის დოკუმენტში.

პროექტის აღწერა:

საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის დაფინანსებით (KfW – Kreditanstalt für Wiederaufbau), შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ახორციელებს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ს კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სამეგრელო ზემო-სვანეთის არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის, ზუგდიდისა და ფოთის არსებული ნაგავსაყრელების დახურვისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მშენებლობის დაფინანსება. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში ეკოლოგიური და ჰიგიენური ნორმების დაცვით, ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვა, ევროკავშირის სტანდარტების გათვალისწინებით, საქართველო ევროკავშირის მიერ 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების თანახმად. პროექტის ფარგლებში უნდა აშენდეს ორი ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტი (სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში), 6 ახალი ნარჩენების გადამტვირთავი სადგური (ორივე რეგიონში) და კომპოსტირების საწარმო კახეთში; კომპანიისთვის გადამტვირთავი სადგურის ოპერირებისთვის საჭირო შორ მანძილზე მავალი ავტომობილების შეძენა; ქუჩის დასუფთავების და ნარჩენების შეგროვებისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა შესაბამისი მუნიციპალიტეტებისთვის; 7 არსებული ნაგავსაყრელის დახურვა ორივე რეგიონში.

ხელშეკრულების შინაარსის აღწერილობა:

მოცემული ტენდერი მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას. კახეთის რეგიონის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადდება ცალკე ტენდერი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქ. ზუგდიდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის უჯრედის მშენებლობა, დაახლოებით 37 000 $მ^3$ მოცულობით, გამონაჟონის გამწმენდი ნაგებობის და აირების მართვის სისტემის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს № 421 დადგენილებისა და ევროკავშირის 1999/31/EC წლის „ნარჩენების ნაგავსაყრელის შესახებ“ დირექტივის თანახმად.

რეგიონში არსებული 2 ნაგავსაყრელის დახურვა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით: ზუგდიდი - დაახლოებით 4.6 ჰა, ფოთი - დაახლოებით 3 ჰა.

ფოთის ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მშენებლობა - წარმადობა დაახლოებით 47 ტონა დღეში, წალენჯიხის ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მშენებელობა - წარმადობა დაახლოებით 22 ტონა დღეში და ლახანის ნარჩენების გადამტვირთავი წერტილის მშენებლობა - წარმადობა დაახლოებით 1.7 ტონა დღეში.

სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად განსაზღვრული პერიოდი: 2022 წლის თებერვლიდან 2023 წლის მაისის ჩათვლით, მთლიანობაში 320 სამუშაო დღე.

დამატებითი ინფორმაცია:

დამატებითი ინფორმაცია, ზემოთ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოთხოვნის გამოგზავნის შემთხვევაში, მოგეწოდებათ უსასყიდლოდ. კომპანია პასუხისმგებლობას იხსნის წინადადებების დაკარგვასა ან გვიან წარდგენაზე.